საკრებულოს წევრის დავით ჭაკნელიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ)

ძვირფასო ამომრჩევლებო, ჩემო თანასოფლელებო,
მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ანგარიშით წარვსდგე იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს, რომ ვყოფილიყავი მათი წარმომადგენელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. სწორედ ამ პასუხისმგებლობისა და მნიშვნელობის გააზრებით და კანონით დაკისრებული ვალდებულებით, გაბარებთ ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

შეგახსენებთ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი საჯარო მოსამსახურე, ანუ საკრებულოს წევრი, ვარ 2014 წლის 2 აგვისტოდან. საკრებულოში ვხელმძღვანელობ აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას. ახალახანს საკრებულოს სხდომაზე დადებითად შეფასდა კომისიის საქმიანობა. ავღნიშნავ, რომ ამ კომისიის თავმჯდომარეობა დაკისრებულ უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად, მეხმარება კიდევ უფრო ეფექტურად განვახორციელო საკრებულოს წევრის უფლებამოსილებები, როგორც საკრებულოში, ასევე მის გარეთაც.
როგორც თქვენი რჩეული, ვალდებული ვარ თითოეული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაშია დავაყენო საკრებულოს წინაშე და კოლეგებთან ერთად შევეცადო მათ გადაწყვეტას.

საკრებულო ეს არის პოლიტიკური ორგანო, რომელმაც უნდა შეაფასოს და გააკეთოს სწორი პოლიტიკური არჩევანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. საკრებულოს თითოეულ წევრს სწორედ ამაზე მოეთხოვება პასუხი. საკრებულო, როგორც წესი იკრიბება თვეში ერთხელ, განიხილავს და აფასებს აღმასრულებელი რგოლის - გამგეობის მიერ შემოტანილ, უკვე მომზადებულ საკითხს, რომელიც ამავდროულად თქვენს დაკვეთას, ინტერესს წარმოადგენს. შევეცადეთ ასეთი ინტერესები აგვესახა საანგარიშო პერიოდში 22 სხდომის დროს მიღებულ 73 განკარგულებასა და 28 დადგენილებაში. თქვენ შეგიძლიათ თითოეულ ნორმატიულ აქტს, რომელიც საჯაროობის პრინციპის სრული დაცვით მიიღებოდა, თავად გაცნობოდით, ხოლო მიღებამდე გამოგეთქვათ თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები.

მოკლედ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა აღმასრულებელი რგოლთან - გამგეობასთან კოორდინირებული თანამშრომლობით. თავისი არსით მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, თუმცა იმ დროს, როცა სხვა ადამიანებთან ერთად, ჩვენს თანასოფლელებსაც ესაჭიროება დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პროგრამების განხორციელება არ უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტულ მიმართულებას, ძალიან ძნელია უარი თქვა სოციალურ პროექტებზე. ფაქტია, რომ დიდი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტის იხარჯება მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებასა და დახმარებებზე. დეტალიზაციისაგან თავს შევიკავებ, მხოლოდ სტატისტიკას მოვიშველიებ: შრომაში სხვადასხვა სოციალური, სამედიცინო პროგრამებით ასევე გამგებლის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა დაახლოებით 54 ბენეფიციარი.

ეს რაც შეეხება სოციალურ გასაცემლებს, რომლის შესახებაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის და მით უფრო საკრებულოს პირდაპირ დანიშნულებას, მაგრამ თქვენი მოთხოვნა განაპირობებს ასეთ მიდგომებს.

სოფლის სატკივარი სოფელმა უკეთ იცის და მეც თქვენთან ერთად თანაზიარი ვარ ყველა იმ პროცესის, რაც ჩვენთან მიმდინარეობს. სოფლის მხარდამჭერი პროექტები, რომელსაც თქვენი მოთხოვნით, თქვენი შერჩევით აღმასრულებელის მიერ მზადდება და საკრებულოზე მტკიცდება, საშუალებას გვაძლევს ერთად გადავწყვიტოთ საერთო მნიშვნელობის საკითხები. ამ კუთხით ასეთი სურათი გვაქვს 2016 წლის შეჯამებისას: სულ შრომაში სოფლის მხარდამჭერი პროექტები დაფინანსდა 104 ათ. ლარით. ამ ციფრებს უკან გზის მშენებლობა, მოსაცდელების მოწყობა, გზის რეაბილიტაცია და სხვ. იგულისხმება. სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

მესმის და თქვენთან ერთად ვიზიარებ იმ აზრს, რომ საკმარისი გაკეთებული ნამდვილად არ არის. ვერც გვექნება იმის ილუზია, რომ უცებ შეიძლება სოფლისათვის მტკივნეულად მიჩნეული საკითხების ერთბაშად მოგვარება. მაგრამ მთავარია უპირველესად გავარკვიოთ ვის კომპეტენციას განეკუთვნება ის საკითხი. რომლის მოგვარებაც გვინდა. მუნიციპალიტეტმა უნდა მოაწესრიგოს შიდა გზები, შრომაში მშენებლობასა და რეაბილიტაციას საჭიროებდა 200კმ. სიგრძის გზა. დამერწმუნეთ

ეტაპობრივად, ბიუჯეტის შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. რაც შეეხება გამრიცხველიანებასა და გაზიფიცირებას, რომლიც განხორციელებაც კერძო კომპანიების პრეროგატივაა და სცილდება ჩვენს კომპეტენციას, 2016 წელს დაიწყო.

გთავაზობთ ერთად გადავწყვიტოთ საერთო ინტერესებს მიკუთვნებული პრობლემები, ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა მათ გადაწყვეტაზე. ხალხის ჩართულობა. თქვენი მონაწილეობა არის უმთავრესი გარანტი რეალური, დამოუკიდებელი თვითმმართველობის. რაც მეტად იქნებით დაინტერესებული ჩაერთოთ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტაში უფრო მეტ ხარისხიან მომსახურებას მივიღებთ, რომელიც აისახება თითოეულ ჩვენთაგანი კეთილდღეობაზე. იმისათვის, რომ შევძლო სრულყოფილად შევასრულო თქვენს წინაშე აღებული ვალდებულებები სწორედ ასეთი ჩართულობა მესაჭიროება, თქვენი ნდობის მანდატით მე კვლავაც შევეცდები ნებისმიერი თქვენთაგანის დასმული კითხვით მივმართო და მივიღო პასუხი საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირებისაგან, უშუალოდ მივიღო მონაწილეობა დასმული საკითხების გადაწყვეტაში, გაცემული პასუხების შეფასებაში.

ვისურვებდი, რომ მომავალ წელს, 2016 წლისგან განსხვავებით, სწორედ ასეთი საქმიანობის ანგარიში შემოგთავაზოთ, რომელშიც გაცილებით ვრცელი იქნება გაკეთებული საქმეებით ჩამონათვალი.